ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 85. კვირა, 19 აპრილი 1909 წ. დამატების № 16.

საიდუმლო.

(შემდეგი *)

V

საპატიო პირები მიუგზავნა ივანე ბერიშვილმა თავად დავითს: ნებით მომათხოვე შენი ქალიო. დავითმა შუა კაცები, ცოტას გასწყდა, არ დალანძღა. კნეინა ნატალიამ კინალამ თმები ჩამოიტანა. ელენეს სასტიკად აუკრძალეს გადაღმა წასვლა. ღვთის მოსავი ნატალია წირვაზედაც აღარ გასულა, რა არის ელენემაც არ აიტეხოს წასვლაო. ელენეს ამხანაგებიც-კი აღარ მიაკარეს: წერილებს წაიღ-წამოიღებენო. ყოველი გზა შეუკრეს, მაგრამ ის-კი ვერ წარმოედგინათ, თუ მათი ნაზი, გაუბედავი, სუსტი ელენე იმდენს იზავდა, რომ ყოველ საღამოს მიიღებდა საყვარელ კაცს, თავისუფლად დაჰყოფდა მასთან მთელ ღამეს და დილით მშვიდისა და წყნარის სახით შეხვდებოდა მშობლებს. ელენე ძლიერ გამოიცვალა, მშობლები-კი ფიქრობდნენ, ცოტას იდარდებს, შემდეგ დაავიწყდებაო.

ორი თვე კიდევ დაჰყო ივანემ სოფელში. უკანასკნელად მოელაპარაკა ელენეს და უთხრა: „წავალ, საქმეს მივხედავ, სამსახურის ამბავს გავიგებ, ჩუმად ჩამოვბრუნდები და გავიპაროთო“. ელენე მწარედ აფრქვევდა ცრემლს და თავის ბედ-იღბალს აბარებდა.

ივანე წავიდა. დაპირებულმა დრომ გაიარა. ელენეს ტყუილად დააწყდა თვალები მოლოდინში. გულის ფრიალი აუვარდა. არაფერი ისმოდა, არც წერილი მოდიოდა.

მეორე თვე გადიოდა ივანეს წასვლის შემდეგ. ერთ წვიმიან დღეს დავითის მთელ ოჯახს სახლში მოეყარა თავი. იყო რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟიც. ზოგი ქაღალდს თამაშობდა, ზოგი ნარდს. საერთოდ სიცილი და მხიარულება იყო, მხოლოდ ელენე არ იღებდა მონაწილეობას ამ სიმხიარულეში. შალ წამოსხმული ფანჯარას მიყრდნობოდა და ფიქრით შორს მიფრინავდა.

— ააა, გიჟს, გიჟს უყურეთ! — დაიძახა ერთმა.

— ოჰო, ლადო! — დაუმატა მეორემ.

— სად ყოფილა ნეტაი? — სთქვეს სხვებმა და ადგილებიდან წამოიშალნენ, როცა დაინახეს ეზოში შემოსული ცხონოსანი, თავადი ვლადიმერი, რომელმაც ექვსი თვის წინად ხელი სთხოვა ელენეს და ცივი უარი კი მიიღო.

მხედარი მსწრაფლ მიიჭრა აივნის კიბესთან, ცხენი ბიჭს გადასცა და სიცილით აირბინა კიბე. პირველად დიასახლის აკოცა ხელზე, მერე ელენეს, შემდეგ ყველას მიესალმა. მოვერცხლილი მათრახი თითიდან წაიძრო და იქვე კედელში გამაგრებულ ირმის რქის ტოტზე დაჰკიდა.

— სად იყავი, კაცო, ამ წუმაში? — ჰკითხეს.

— პლათორმაზე ვიყავი. ჩორტ, რა ახალი ამბავი გევიგე...

— რა, რა? — მისცვივდნენ.

— ეჰ, გასაჭარებელი კი არაფელია... საწყალი ის მოკვტარა, ის, კაცო... — დაატკაცუნა თითები.

— ვინ, კაცო, ვინ? — მიაძახეს.

— ე, ის, კაცო, ზემლემერი რო იყო, ჰო, ბერიშვილი.

— რას ამბობ?!

— საწყალი...

ღარიბები. — სურათი ლ. პასსინისა.

— რა კაი ბიჭი იყო... — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ყველამ უნებურად ელენეს შეხედა. ის-კი, გაყვითლებული ზაფრანასავით, კანკალმა აიტანა. მერე ერთი დაიკვნესა და მოჭრილ მუხასავით ბრახვანი გაიღო იატაკზე.

VI

მძიმე ნაავადმყოფარი ელენე აჩრდილივით იჯდა ლოგინში. ჯერ კიდევ დასუსტებული ბალიშებზე იყო მისვენებული. დედა ლოგინთან უჯდა და გამხდარ ხელებს უსრეს-

*) იხ. დამატება № 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ტასიკო, ელენეს საუკეთესო მეგობარი, მორიდებით და ნაზად უვარცხნიდა დიდი ხნის დაუვარცხნელ თმას. მხოლოდ ძლიერ ავადმყოფობის დროს მისცეს ტასიკოს ნება, ენახა ამხანაგი და თუ-კი რასმეს ასიამოვნებდა, მოევლო. გონს დი-

მაიორი ენვერ-ბეი,
შტაბის აფიცერი, ოსმალეთის რევოლიუციის მეთაური.

დი ხანია მოვიდა ელენე, მაგრამ ერთხელაც არ უკითხავს ვანოს უბედურების მიზეზი. თითქოს ეშინოდა სინამდვილის გაგებისა, განგებ გაურბოდა ამ კითხვას: კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა — იქნებ ტყუილია, მხოლოდ ჩემ გამოსაცდელად ჩაიდინეს ეს საქმეო.

კნეინა ნატალია დარდობდა, შვილი დამიკლექდებაო. მაგრამ როდესაც შეუფერებელ საქმეს და სახელის გატეხას წარმოიდგენდა, ათასჯერ შვილის სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე რძლებისა და მეზობელ კნეინების სასაცილოდ გახდომას. ელენეს სანახავად მოსულებს სასტუმროში იღებდნენ და იქიდანვე ისტუმრებდნენ.

— მოუკვდეს დედა! მთელი კვირე არ იყო კარქათ, მერე იმ დასაქცევ დღეს გაცივდა, თავიც ტკიოდა. იმ გასახარელმა ლადომაც ისე უეცრად მეიტანა კაცის სიკვტილის ამბავი. ბეჩა, ყველას გვეწყინა, ახალგაზდა კაცი იყო. ამას გარდა, იმდონხანს და-ძმასავით იყვნენ... ისიც ეწყინა, ყორიფელი ერთი მიორეს წეეწია და ასე-კი გამიხთა. — აუხსნა ერთ დღეს ნატალიამ სტუმრებს.

— არა, ჩემო რძალო: გასაკვირალი იგია, რაღა იმ წამში მოუვიდა ყორიფელი? — გაიკვირვა კნეინა კესარიამ.

— ბეჩა! — იწყინა კნ. ნატალიამ: — არ იცით, ეს ავათმყოფობა პირველათვე რო თავში დაკრავს და წააქცევს?

— რა ავათმყოფობას ეძახიენ? — იკითხა ხნიერმა კნეინა ეკამ.

— დოხტურმა მოგახსენათ, წვეთი დასცემიაო. — საჩქაროდ მიუგო ნატალიამ.

— სად წვეთის დაცემა, სად გულის შეწუხება! — ჩაერია ლაპარაკში დავითის სახლის კაცი, თავადი პავლე: — ამას გარდა, წვეთის დაცემას ვერც იტანს კაცი, იმ წამში კვტება. — განაგრძო მან.

— ყოფილა მაგალითები, რო გადოუტანიათ. — მოუჭრა სიტყვა ნატალიამ, მერე ადგა, ბოდიში მოიხადა, ავადმყოფს დიდ ხანს ვერ ვცილდებიო, და გავიდა სასტუმრო ოთახიდან. მნახველებმა თვალი გააყოლეს და ეშმაკურის ღიმილით შეხედეს ერთმანეთს.

— ჯერე მოკალით, ბიძია, და მერე დაშუში ადეთ! — ჩაილაპარაკა პავლემ.

— რითი მოკლეს, ბიძია, ასე რო იცით? — წაეკითხა ელენეს ახალგაზრდა თამრო.

— იმით, ბიძია, რომე... სსს...—ტუჩებზე ხელი დაიფარა და აქეთ-იქით მიიხედა: — ჩვენ შორს დარჩეს და...

— ვიცით, ვიცით. — გააწყვეტინა სიტყვა მხიარულმა კესარიამ.

— კურო მოუსვეს გვერდში, მერე აღარ მისცეს და...

— ა, ამ ულაშს მევიპარცავ, თუ აქანე ამ პეტერეი ავათყოფობით გათავდება საქმე! — დაუმატა პავლემ.

ამ დროს დავითიც შემოვიდა და სტუმრების ლაპარაკმაც სხვა ხასიათი მიიღო.

უსაქმო ხალხს ელენე გაეხადა შესაქცევარ და გასართობ საგნად. კნეინები მთელი დღეობით აფრენდნენ მოსამსახურე გოგოებს ერთმანეთთან ბარათით ხელში: „ელენეს სანახავათ მივალ და წამოდიო.“ ხშირად მთელი ჯარი შეიკრიბებოდა ხოლმე, მაგრამ ელენე ყველას ერიდებოდა. მან ერთხელ და სამუდამოდ გამოუცხადა დედას: არავისი ნახვა არ მინდაო.

VII

— დედა! ერთი წიწილი შემიწვი, იქნება ვჭამო,— უთხრა ელენემ ერთხელ, როცა ფიქრისაგან გამოერკვა.

— კი, შვილო, ამ წუთში უბრძანეფ.

— არა, დედა, შენი ხელით შემიწვი. არ მინდა გოგოს გაკეთებული. შენ გაფუფქე და შენ შეწვი...

— კარქი, შვილო. შენ გენაცვალოს დედა! — უთხრა ნატალიამ, შუბლზე აკოცა და გავიდა ოთახიდან.

ელენემ თვალი გააყოლა, თავისუფლად ამოისუნთქა, ცოტა კიდევ ჩაფიქრდა და მერე მიუბრუნდა ტასოს:

— ტასიკო! დაანებე თავი მა თმებს. მოდი აქ, წინ დამიჯექი.

მაჰმად მეხუთე,
ახალი სულთანი ოსმალეთისა.

— ამ საათში. აი, დაგიპწნი კიდეც.—ერთი კიდევ დაუსვა სავარცხელი სირმასავით მოელვარე თმას, სამი თითით ჩაუწნა გრძელი ნაწნავი, თმის დასამაგრებელი ყვითელი სავარცხელი თავში გაუმაგრა, მერე კაბის კალთა გაიბერტყა და ლოგინზე ჩამოუჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარი, რა გინდა, ელიკო... ჩემო საწყალო ელიკო! — ეუბნებოდა ელენეს ნაღვლიან სახეს ტასიკოს ცოცხალი და მოძრავი თვალები.

— ტასიკო, რატომ ასე ჩუმათა ხარ? რატომ არაფერ მეუბნები?

— რა გითხრა, ელიკო, რა? — უთხრა ქალმა და თვალები ძირს დახარა.

— ჩემ ვანოზე რატომ არაფერს მეუბნები? დავიჯერო, მართლა მიმატოვა? დავიჯერო, დახუჭა თავისი ლამაზი თვალები? — ჰკითხა მარმარილოს ქვასავით გაფითრებულმა ელენემ.

— მართლა, მართლა ჩემო დაიკო... მართლა გიღალატა, მართლა ჩავიდა მიწაში ჩემი ძმად ნაფიცი ვანო. მარა, იცოდე დაო, უკასკნელი მისი ხსოვნა შენ იყავი.

— მითხარი, ტასო, რაც იცი... ახლა იმდენად უკეთა ვარ, რომ შემიძლია მოვისმინო, რა უბედურება მოხდა ჩემ თავზე...

— წერილები ყოველ კვირაში მომდიოდა. მარა რა, არ იქნა, თქვენ ეზოსაც ვერ გავეკარე სიახლოვეს. შინ ჩაგკეტეს და ჩვენ-კი არ გვიშობდნენ.

— მერე... რას გწერდა?

— წერილებს მოგიტან, როცა გარგა იქნები.

— ახლა მითხარი, რა მოუვიდა?

— აქედან ჩასულა და გაუგია, რომ სამსახურიდან ორი თვის წინად დაეთხოვათ. მერე სამსახურის ძებნა დოუწყია... ასე უცბათ სა იშონიდა! აქით შენს ამბავს ტყობილობდა, რო ასე შებოჭილი იყავი. დარდზე ღვინის სმა დეიწყო. მერე, მე დასამიწებელმა მივწერე: ძმაო, ქალი კი არ გაწყვეტილა ქვეყანაზე, ამას შენ ვერაფელი გზით ვერ წეიყვან და ამეიღე გულიდანთქვა. ამდგარა იმ დღეს, დაულევია, გაციებულა, მერე ანთება მოსვლია და ხუთ დღეში სული დოულევია... ვერაფელმა ვერ უშველა თურმე..

— ჩემი გულისთვის... ჩემი გულისთვის!... — გაიმეორა ელენემ და ჩაფიქრდა. — ტასო! იცი რამდენი ბედნიერი ღამე გაგვიტარებია აქ, ამ ოთახში? ის მოკვდა... მე-კი უნდა ვიცოცხლო. მოვალე ვარ, ვიცოცხლო. როდისმე მივალ იმის საფლავზე და მივიყვან იმას, ვინც ჩამაბარა ჩემმა ვანომ... — სთქვა ესა და გაფითრებულ სახეზე რაღაც გულ ქვაობისა და სიმაგრის მომასწავებელი ხაზი აღებეჭდა. ტუჩები მაგრა მოკუმა, თვალები დახუჭა და ტასიკოს დახმარებით ნელა ჩაწვა ლოგინში.

VIII

ის იყო და ის. თითქო სალ კლდედ გადაიქცაო, აღარ ესმოდა მშობლების წყრომა და რისხვა, ისე გაყრუვდა ელენე. როდესაც მიხეილმა გაიგო ელენეს ფეხ-მძიმობა, აფთრად გადაიქცა, მივარდა ოთახის კარს, უნდოდა თმებით დაეთრია თავისი განებივრებული შვილი, მაგრამ კარები ჩაკეტილი დაუხვდა—დიდი ხანია ღიას აღარ უშვებდა ელენე თავის ოთახის კარს—მერე წიხლი დაუშინა, „შევლეწო,“ იძახდა. ამ დროს ცოლმა მოუსწრო, ჩაუვარდა ფეხებში და დაუწყო მუდარა:

— ნუ ყვირი, ნუ მევიჭრით თავს... რაც დეგვემართა, ჩვენი თავით... ქვეყანას მაინც ნუ შევატყობიებთ ჩვენ გამოწყვეტას...

— რას ამბობ, დედა-კაცო, რას? რავა გავჩუმდე: მევიდა კისერში სისხლი, აგია! მოვკლავ მა.... რა გახადა ჩემი კაცობა მაგან? რა კაცი ვარ ახლა მე? რავა გადამაძრო ქუდი თავზე?

— კაცო, რომ გაგიღია პირი, ყვირი და ქვეყანა გინდა შეყარო, რალას მიეწევი? ჩვენი სირცხვილი ჩვენვე უნდა დავმალოთ.

— რავა თუ რას მივეწევი? წელებს გამოვაყრევიებ ჩემ შემარცხვენელს! ცოცხლათ დავაგდებიებ იმ ძაღლის ლეკვს! — დაიღრიალა დავითმა და ერთი კიდევა ჰკრა კარს ფეხი. კარი შეინძრა, დაჭრიჭინდა.

ელენემ შიგნიდან გამოსძახა მამას:

— ძაღლის ლეკვს მე არ ვატარებ იცოდეთ, არც ძაღლის შექმნილია ის... ძაღლისა კი არა, იმის შვილის დედა ვარ, ვინც თქვენ, მამაჩემო, გააბრიყვეთ ყალბი საბუთებით და ვისიც დახმარებით ასი თუმანი წაგლიჯეთ გლეხებს... დადექ, გული დეიწყნარე... თორემ მკვდარ ვანოს არაფერს მოთხოვენ, მაგრამ სხვას, ცოცხალს მოხვდება მოსახვედრი! — ისე ნელა, მტკიცედ და გარკვევით უთხრა ეს სიტყვები, რომ კედლის მეორე მხარეს მდგომ ცოლ-ქმარს ერთი სიტყვაც არ დაჰკარგვიათ.

ცოტა ხანს ორივე გაჩუმებული იყო. ერთმანეთს შესცქეროდნენ და ყურს უგდებდნენ: იტყვის კიდევ რასმეს თუ არაო. ელენე კარს მოსცილდა, ფანჯარა გააღო, გადაწვა ზედ და უაზროდ დაუწყო ცქერა ახლად ამწვანებულ ბაღს და აქა-იქ კოკორ გამოჩენილ ვარდის ბუჩქებს. გაზაფხულის თბილი და საამო დღე იდგა. სიცოცხლით სავსე ჭრელი პე-

გურიის დედოფლის სოფიოს საფლავი

სოფელ პლატანაში, ტრაპიზონის მახლობლად, ოსმალეთში.

(იხ. „დროება“ № 44.)

პლები დასტრიალებდნენ ერთმანეთს და ერთობოდნენ. ელენეც მისჩერებოდა მათ და ღრმად ისუნთქავდა მსუბუქ ჰაერს.

— ახლა, ახლაც მეტყვი, გაჩუმდი და ნუ მოკლავო?! — უთხრა ქმარმა

— გაჩუმდი, ხო გეიგონე? მიზეზი ჩვენ ვართ... ჩვენი საქმიზა მევიყვანეთ კაცი, დოუყენეთ გვერდში, დღეს, ხვალე, ზეგ და ახალგაზდებმაც ქე იფიქრეს რაცლა. არა, ჩემო დათა, არა. სამართლე უნდა თქვა. შენ რამდენჯერ გითქვამს: „თივა და ცეცხლი ერთათ არ შეიძლებაო.“ ჩვენ-კი, ჩვენი ხელით მივადევით თივა და ცეცხლი ერთმანეთს. ახლა გავუმდეთ და ე საქმე ჩავჩქმანდოთ... რაც უნდა დამიჯდეს ამ საქმის მიფუჩეჩება, არაფელს არ დეევრიდები და შენი რძლების სასაცინო არ გავხდები.

დავით შეფიქრდა, თავი ჩაიქნია.

— რავარც გინდა, ისე ქენი, მარა ის ქალბატონი კი არ დემენახოს! — უთხრა ბოლოს, ულვაშზე ხელი გადისო და გავიდა ოთახიდან.

IX

იმ დროს ელენე შვიდი თვის ორსული იყო, ნატალიამ ოთხი თვის შემდეგ იცოდა, მაგრამ უმალავდა ქმარს. გულში ვერც ამტყუნებდა ელენეს.

„ივანე ზემლემერი და ნასწავლი მაინც იყო, მე-კი მოჯამაგირეზე წამივიდა თვალი, და საწყალი ბოვში მოჰკლეს თუ მოარჩინეს, ეხლაც არ ვიცი,“ გაიფაქრებდა მხოლოდ, ნატალია, თქმით-კი თავის ყურებსაც არ აგონებდა. შემდეგ შვილს დაუწყო დაყვავება, გაჭირვებას უადვილებდა, უნდოდა, როგორმე დაახლოვებოდა ელენეს გულს, მაგრამ ამაოდ. ელენესთვის ეხლა გარეშენი იყვნენ დედ-მამა. მთელი დღე იჯდა ფანჯარაზე და იყო წარსულის მოგონებაში.

„წარსულით ვცხოვრობ მე უბედური, მხოლოდ წარსულითაო“, იტყოდა ხოლმე, როცა ფიქრით დაიღლებოდა. წამოისხავდა დიდ, თეთრ დარაიას და გასწევდა იქვე ტყეში ან ტასიკოს დაიბარებდა. მამასთან შეხვედრას ერიდებოდა. ერთხელაც არ დაუნახავს იმისი სახე. სადილ-ვახშამს მარტო სჭამდა, თავის ოთახში. არც თუ დავითს უნდოდა მასთან შეხვედრა. შორიდან უყურებდა, ამჩნევდა გამხდრობას, ხედავდა, რომ აღარ იყო ის სიცოცხლით სავსე ელენე, რაც წინად, ეტყობოდა, როგორ დაედნო დარდსა და მწუხარებას. გული ულბებოდა, უნდოდა დაეძახნა, დაეყვავებინა, მიეალერსებინა და ჩაეკრა მშობლიურ გულში, მაგრამ ამავე დროს თავისი სიამაყე დაუდგებოდა თვალ წინ და კეთილ გრძნობას სრულიად სჩრდილავდა სიბოროტე.

გავიდა ხანი ამ ყოფაში. ივნისის თერთმეტ რიცხვს, ხუთშაბათ დილით, არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი შეიქნა დავითისას. მოხუცი გამდელი საჩქაროდ წავიდა სადღაც. კნეინა ნატალიამ რაღაცა უთხრა დავითს. იგი ადგა. სახე მოქუშულმა, სანადირო თოფი ჩამოიღო კედლიდან, სანადირო ტანისამოსში გამოეწყო, გავიდა ეზოში, ძაღლებს თავი დაუყარა და ორი ბიჭის თან-ხლებით სანადიროდ გასწია. შაბათმა მოაწია, მაგრამ ელენეს მაინც არა ეშველა-რა!

— კვტება, შე-ოჯახ დაქცეულო! რაზე გაგიქვავა გული? — უთხრა ტირილით თვალებ დასიებულმა ნატალიამ ქმარს და შევიდა ელენეს ოთახში

დავითს ბევრი აღარ უფიქრნია და თან შეჰყვა. ბებიებს შერცხვათ კაცის დანახვაზე და ბუხართან აეკვრნენ კედელს. დავითმა დახედა შვილს. ელენეს თვალები დახუჭული ჰქონდა. ტუჩები ისე დაეკბინა კბილით, სულ სისხლი სდიოდა. ხან გამოშვებით გმინავდა.

— რას უყურებთ, ქალებო! თუ რამე იცით, ეს ქე მომკვტარა! — მიუბრუნდა ბებიებს დავითი.

— ჩვენ არაფელი აღარ შეგვიძლია, ბატონო... ახლა კნეინას მოვახსენებდი, ორტოყველ ბარბალიას რომ მოგახსენებენ, ჩხინკავაძის ქრივს, იგი მოაყვანიეთ. — უთხრა ერთმა, უფრო ხნიერმა ბებია-ქალმა.

ნატალიას ქმრისთვის აღარ დაუცდია, საჩქაროდ გავიდა და უბრძანა ბიჭს, ახალგაზრდა გერასიმეს:

— გერასიმე, ახლავე შეკაზმე ცხენი და ბარბალია მოიყვანე ორტოყვიდან. ხომ იცი?

— კი, ბატონო, ჩხინკავაძის ბარბალიი ვინ არ იცის!

— აპა, ჩემო გერასიმე, აჭენე სულ.

— ცხენი არ მინდა, ბატონო, საცალ-ფეხო გზა ვიცი, უფრო ჩქარა მივალ. თუ იქნა შინ, ცხენით დიდი შარა უნდა მევიაროთ და დაგვაგვიანდება. — უთხრა ბიჭმა, რომელსაც ძლიერ უყვარდა ელენე, პატივს სცემდა და მზად იყო მისი სურვილი უსიტყვოდ აესრულებინა. ჩოხა გადიცვა, ყაბალახი მხარზე გადიგდო, ბაღში გადახტა, ბაღიდან ტყეში, ტყე-ტყე გასწია და ერთ საათში მეორე სოფელში ამოჰყო თავი

მ. გარიყული.

(დასასრული იქნება.)

წვრილი ამბები

ჰაერში მფრინავი გლეხი

მალოროსიული გაზეთი „რადა“ საყურადღებო ამბავს გადგმოგვცემს. კიევის გუბერნიის სოფ. ბელმაჩევკოს გლეხს ტკაჩენკოს საფრენი მანქანა გამოუგონია. მანქანა მეტად უბრალო და მარტივია თურმე. მთელი აპარატი ქოლგისგან და ორის ფრთისგან შესდგება თურმე. ფრთები მოძრაობაში ფეხებს მოჰყავს. ეს აპარატი „რუს. სლოვ.“ კორესპონდენტსაც უნახავს. ტკაჩენკო თავის სოფლიდან დილა ადრიან გაფრენილა და 16 ვერსი ერთ საათში გაუვლია. ამასთან აპარატი რამდენჯერმე მოშლია და იძულებული გამხდარა ერთის საათის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაშვებულიყო მიწაზე და აპარატი შეესწორებინა, პლისვარზე ტკაჩენკო მატარებლის მისვლის დროს გაფრენილა, მფრინავ კაცის დანახვაზე მგზავრებს შორის ერთი მითქმა-მოთქმა ამტყდარა. ტკაჩენკოს აზრადა აქვს დიდი მანძილი გაიაროს. იგი 34 წლისაა, ცოლიანი, უსწავლელი და გაუთავებია მხოლოდ საეკლესიო პირველ დაწყებითი სკოლა. ასე გასინჯეთ, თავის სოფელსაც-კი არ გასცილებია. მხოლოდ ერთხელ ყოფილა კიევში და ისიც 3 დღით. მფრინავ აპარატის, გამოგონებ ტკაჩენკოს პატარაობიდანვე უნდოდა თურმე.

კახეთის რკინის გზა

1871 წელი — პირველი შუამდგომლობა კახელებისა.



1909 წელი — ეხლანდელი შუამდგომლობები.



2009 წელი — გაჰყავთ რკინის გზა.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.